

საქართველოს პრეზიდენტის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
N 704 1996 წლის 31 ოქტომბერი ქ.თბილისი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილი
და ლტოლვილი ამომრჩევლების საერთო-სახალხო
გამოკითხვის - პლებისციტის დანიშვნისა და ჩატარების
შესახებ

აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის გადაწყვეტილებით 1996 წლის 23 ნოემბერს ტარდება ეგრეთ წოდებული საპარლამენტო არჩევნები. მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს და სხვა კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციის არაერთგზის გაფრთხილებისა, რომ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში არჩევნების ჩატარება შესაძლებელი იქნებოდა, მხოლოდ სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების ფარგლებში, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვით აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის შემდეგ და ამ არჩევნებში აფხაზეთის კანონიერი ამომრჩევლების უდიდესი ნაწილის - იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა და ლტოლვილთა მონაწილეობით, სეპარატისტთა გადაწყვეტილება უცვლელი რჩება.

სეპარატისტთა მიერ დანიშნული ეგრეთ წოდებული საპარლამენტო არჩევნების მიმართ აფხაზეთის კანონიერი ამომრჩევლების უდიდესი ნაწილის-ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დამოკიდებულების გამოხატვის მიზნით "რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს 1996 წლის 15 მაისის კანონის საფუძველზე.

1. 1996 წლის 23 ნოემბერს დაინიშნოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილ და ლტოლვილ ამომრჩეველთა საერთო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით - პლებისციტი.

2. ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში აღნიშნული პირების გარდა პლებისციტში მონაწილეობა შეუძლიათ აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ან მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ აფხაზეთის იმ ამომრჩევლებს, რომელთაც არ გააჩნიათ დევნილის ან ლტოლვილის სტატუსი და სურვილი აქვთ პლებისციტში გამოხატონ თავიანთი ნება.

3. კენჭისყრის ბიულეტენში შეტანილ იქნეს შემდეგი კითხვა:
"მხარს უჭერთ თუ არა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სეპარატისტული რეჟიმის მიერ დანიშნული საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე და აფხაზეთში დევნილთა და ლტოლვილთა დაბრუნებამდე?".

4. პლებისციტის მომზადება და ჩატარება უზრუნველყოს საქართველოს საარჩევნო კომისიამ.

5. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (დ. იაკობიძე) გამოყოს პლებისციტის ჩატარებისათვის საჭირო სახსრები საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

6. საქართველოს სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებმა, სამხარეო ადმინისტრაციებმა, ქალაქების მერიებმა და რაიონების გამგეობებმა განახორციელონ ღონისძიებანი პლებისციტის ორგანიზებულად და კანონის მოთხოვნათა ზუსტი დაცვით ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.

7. ბრძანებულება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს პრესაში და გადაიცეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

ე. შევარდნაძე